აფილიატორთან ანაზღაურება განხორციელდება შემდეგი წესის შესაბამისად:

1. აფილიატორის ანაზღაურების ოდენობა შეადგენს მის მიერ პორტალზე შევსებული პირის (შემდგომში კლიენტის) მიერ გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების პრემიის 5%–ს, რომლის ჩარიცხვის პერიოდულობა დამოკიდებულია კლიენტის მიერ ანგარიშსწორების პირობის არჩევაზე, რაც გულისხმობს შემდეგს: იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ერთიანად გადაიხდის სადაზღვევო პრემიას, ასეთ შემთხვევაში აფილიატორი მიიღებს მის კუთვნილ ანაზღაურებას ერთიანად, ხოლო თუ კლიენტის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება პერიოდულად, ასეთ შემთხვევაში აფილიატორიც ანაზღაურებას მიიღებს იმავე პერიოდულობით;
2. აფილიატორი მიიღებს ანაზღაურებას კლიენტის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისა და აღნიშნული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის მიერ პრემიის გადახდის შემთხვევაში, რაც გულისხმობს დათქმას, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ (შემდგომში ალფა) აფილიატორის წინაშე ანგარიშსწორების ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ კლიენტის მიერ ყოველი სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ;
3. აფილიატორის მიერ ალფასთვის მოწოდებული კლიენტის მონაცემები ძალაშია აფილიატორის მიერ ინფორმაციის მოწოდებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, რაც გულისხმობს დათქმას, რომ აფილიატორი კონკრეტული კლიენტის მიერ გადახდილი პრემიიდან ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კლიენტთან ხელშეკრულება გაფორმდება არაუგვიანეს კლიენტის შესახებ ალფასთვის ინფორმაციის მიწოდებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების გაფორმება აღარ ჩაითვლება აფილიატორის მიერ გაწეულ მომსახურებად და ალფას მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება. აქვე, ალფა იღებს ვალდებულებას, რომ ის კლიენტს დაუკავშირდება არაუგვიანეს ინფორმაციის მისთვის მიწოდებიდან მომდევნო სამუშაო დღეს, შესაბამისად მისი მხრიდან ადგილი არ ექნება ხელშეკრულების გაფორმების დაყოვნებას.
4. ალფა აფილიატორზე ანაზღაურებას (კონკრეტულ თვეში ჩარიცხული პრემიის 5%–ის ოდენობით) გასცემს კალენდარული თვის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს საანგიშგებო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე;
5. ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით აფილიატორი ეთანხმება პირობას, რომ იმ შემთხვევაში თუ კლიენტი შეწყვეტს/არ დაიწყებს პრემიის გადახდას, ასეთ შემთხვევაში აფილიატორი ვერ მიიღებს ანაზღაურებას/მიიღებს მხოლოდ კლიენტის მიერ გადახდილი პრემიის 5%–ს;